შაბათი, 16 ოქტომბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 შაბათი, 16 ოქტომბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 237 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 237

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

შაბათს, 16 ოკდომბერს,

მეორე «გალა» წარმოდგენა ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**ვერთერი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსნესი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი დონსკოი-ეიხენვალდი, პეტროვა-ზვანცევისა, ზასლავსკისა, და სხვ.; ბ-ნნი სიკაჩინსკი, კომაროვი, ლემიანენკო, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩ. კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 17 ოკდომბერს

გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევის. ბ-ნ ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**კარმენი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

ორშაბათს, 18 ოკდომბერს,

ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის მე-8 კლასის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

**ფაუსტი**

ოპერა 5 მოქმ., მუს. გუნოსი.

მზადდება პირველად ტფილისში «**ნერონი**», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად სასურათო ნახატებიანი ჟურნალი

**„ჯეჯილი“**

იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

**ვკისრულობ**

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

გამოვიდა ახალი

**კატალოგი**

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი** — ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, 12½—1½ საათ.

**ბრ. ვ. სოხოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**ბრ. ვ. სოხოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჭხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დორისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

მნიშვნელობა «ხიან გორაკისა». დეპეშიდან ვიცით, რომ საშინელი ბრძოლა ჰქონდათ რუსებსა და იაპონელებს იმაზედ, თუ რომელ მათგანს დარჩებოდა „ხიანი გორაკი“. ორმავე მხარემ და მეტადრე რუსებმა, ბევრი ათასი კაცი შესწირეს ამ გორაკსა და ჩვენ კი საკმარისად არ ვიცოდით, ღირდა თუ არა ეს გორაკი იმოდენ მსხვერპლად. ეხლა სამხედრო მიმომხილველი გაზეთ «რუსსკია ვედომოსტისა» ბ-ნი ს. კ. საკმარისის სინათლით გვირკვევს ამ „ხიან გორაკის“ მნიშვნელობასაცა და იქ მომხდარ ამბებსაც. ორ ოკდომბერს მარშალმა ნოძუმ გენერალ იამადას, რომელმაც 13 ივნისს თავი ისახელა დალინის უღელტეხილის დაჭერით, დაავალა, «ხიანი გორაკი» დაიჭირეო, რომ მაგ პოზიციის წყალობით ხელშეუშლელად გადავიყვანო ჩემი ჯარები მდინარე შახეზედაო. თურმე მართლაც ეს გორაკი ამართულია ისეთ სახერხო ადგილას, რომელიც მაღლიდან დაჰყურებს ორ გზას—მანდარინისას და ბენსიხუსას. იმ მთის დამჭერი საშინლად გაუძნელებს მტერს ჯარის მოძრაობას ორთავ გზებზედ. იამადასა ჰყვანდა სულ ექვსი ბატალიონი ქვეითა ჯარი, 24 ზარბაზანი და ერთიც ტყვიის მსწრაფლ-მტყორცნელი. იმავ საღამოს ეცა გენერალი იამადა ამ გორაკს და განდევნა იქიდან რუსის პოლკი. მერე მთელი ღამე და მეორე დღის დილა მოანდომა ამ მთის გამაგრებას, რისთვისაც ჰქონდა სულ 12 საათი თავისუფალი დრო. ამ მცირე ხნის განმავლობაში იამადამ მოასწრო მხოლოდ თხრილების ამოღება და სანგრების გამართვა. ფუგასების ჩაწყობისა და რკინის ეკლიან ლობეების დადგმისთვის კი დრო აღარა ჰქონდა. გენერალ კუროპატკინმა ნახა, რომ ნოძუს არა ჰყავს ახლო-მახლო საკმარისი ჯარიო, და შემოახვია ამ გორით ოცდაერთი ბატალიონი. დიდი გულადობა გამოიჩინა მტერმა, მაგრამ არც მოწინააღმდეგის გულადობა იყო ნაკლები, მეტადრე კომანდირ პუტილოვისა, და იამადა იძულებული შეიქმნა განეთავისუფლებინა «ხიანი გორაკი» და უკან გაქცეულიყო. ჩვენ ჩაგვივარდა ხელში 14 ზარბაზანი და ერთიც ტყვიის მსწრაფლ-მტორცნელი.

—

მშვიდობიანობის ჩამოგდება. საფრანგეთის პარლამენტის წევრი გამოჩენილი სოციალისტი ჟორესი დიდის ენერგიით ავრცელებს იმ აზრს, რომ დაწინაურებული სახელმწიფოები უეჭველად ჩაერივნენ საქმეში აიძულონ მეომარნი და ჩამოაგდებინონ მშვიდობა. ამ აზრით იგი სცდილობს შეაერთოს სოციალისტების სხვა და სხვა ჯგუფები. როგორც ისმის, სხვა სახელმწიფოების სოციალისტები, მეტადრე იტალიისა და ბელგიისა, დიდს დახმარებასა ჰპირდებიან ჟორესს ამ კეთილ მისწრაფებაში. (რუს. ვედ.).

—

იაპონელთა მეორე არმია. რადგანაც მეორე არმიას მეტად მარჯვე პოზიცია უჭირავს ომის ველზედ, ამიტომ მარშალ ოიამას განუზრახავს რიცხვი ამ არმიის მეომართა აიყვანოს ოთხასი ათას კაცამდე და შეაიარაღოს ათასის ზარბაზნით. გაზეთ «იტალია მილიტერის» ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ამ განზრახვის შესასრულებლად იაპონიას უკვე გაუგზავნია პორტ სასებოდან 75,000 ჯარის კაცი და 200 ზარბაზანიო.

—

მარშალ ოიამას კრიტიკოსი. ინგლისურ გაზეთ «ტაიმს»-ში მეთაური წერილია დაბეჭდილი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. ეს წერილი საშინლად ჰკიცხავს მარშალ ოიამას და ამბობს, რომ სულ ამ სარდლის ბრალია ის უთვალავი ზარალი, რომელიც დაატყდა იაპონიის ჯარს ამ ბოლოს დროსას. მომავალი ისტორიკოსი დასდებს თავის უტყუარს მსჯავრსა და აღიარებსო—ამბობს გაზეთი,—რომ ოიამამ, სამის არმიის შეერთების შემდეგ, ვერ გამოიყენა რიგიანად ის ყოვლად სახარბიელო მდგომარეობა, რომელშიაც ჩაყენებული იყო იაპონიის ჯარი მანჯურიაშიო.

—

სანიტარი-ძაღლები. დიდს სამსახურსა სწევს შვიდი სანიტარი ძაღლი, რომელიც საცდელათ წაუყვანიათ რუსებს მანჯურიაშიო, ამბობს «კენინბერგის გაზეთი». ეს ძაღლები სუნით არჩევენ რუსის დაჭრილ სალდათებს იაპონელებისაგან და მათის წყალობით რუსები ადვილად ჰპოულობენ თავიანთ დაჭრილ კაცებსაო.

გაზეთ «რუსკოე სლოვო»-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი როსსი ჰფიქრობს, რომ ჩვენმა გამარჯვებამ მდინარე შახეზედ სრულებით სხვაფრივ გადაატრიალა ომის ბედი მანჯურიაში. თუ მართლა ისეთი დიდი ზარალი ნახა ჩვენმა არმიამ და ისე ცოტა ხალხი დაჰკარგეს იაპონელებმა, რომელთა სარდლებიც იწერებიან, ვითომც სულ 10,000 კაცამდე მოგვაკლდა ათის დღის განუწყვეტელ ბრძოლაშიო, მაშ, რა ამბავია, რომ მარშალი ოიამა აქამდე გაჩუმებულია და ერთს ნაბიჯსაც არა სდგამს წინ, რომ კვლავ მოხვეჭოს გამარჯვების გვირგვინები? ცხადია, რომ იმათი ზარალი არა თუ ჩვენზე ნაკლები არ არის, არამედ მეტიცაა, რადგან ჩვენ სულ ორი დღე ვაწარმოებდით ნამდვილ საველ ომსა და იაპონელებს კი მთელ რვა დღის განმავლობაში მოჰქონდათ ჩვენზე იერიში. ვინ არ იცის, რომ იერიშებს ყოველთვის მეტი მსხვერპლი უნდა, ვიდრე საგერ ომსა. მერე როგორი თავიდამ ხელაღებული იერიშები მოჰქონდა მტერს მდინარე შახეზედ ან ბენსიხუს მიდამოებში! ეჭვს გარეშეა, რომ მტერმა ძლიერ ბევრი ხალხი დაჰკარგა და ეხლა არაქათი აღარა აქვთ, რომ განაგრძონ წინსვლა. მაგრამ წინსვლას ვინ და იტყვის, მარშალი ოიამა სულ თავის პოზიციებს ამაგრებს, რათა მოიგერიოს ჩვენი თავდასხმა, ან კიდევ მოასწროს თავის არმიების ჩაყვანა იანტაის მიდამოებში და იქნება თვით ლიაოიანშიაც. თითოოროლა ნიშანი ამისა სჩანს, როგორც უცხოელთა ცნობებიდან, აგრეთვე რუსულ კორესპონდენციებიდანაც. რომ ოიამას აღარ შეუძლიან ახალ-ახალ გაწვრთნილ ჯარების მიღება იაპონიიდამ, ეს აშკარაა, რადგან იმის არმიებში ძველი ნასალდათარები მრავლად მოიპოვებიან, და აბა, ამისთანა ჯარით რას გახდება ჩვენთან ამას შემდეგ, როდესაც სულ ახალ-ახალი გაწვრთნილი ჯარი გადავა რუსეთიდან მანჯურიაში. დღეის იქით სულ სხვა ნაირად დატრიალდება ომის ჩარხი. აქამდის თუ ჩვენ ვიწევდით უკან და იაპონელები მოდიოდნენ წინ, ამას შემდეგ სრულებით გამოიცვლება სურათი და წინმსვლელნი ჩვენ შევიქმნებით. მაგრამ ამით მაინც ხაადვილო არ იქმნება ჩვენი მდგომარეობა, რადგან ოიამამ საშინლად გაამაგრა ყოველივე მის მიერ დაჭერილი ადგილი და სწორედ ამ ადგილების დაბრუნება მოითხოვს ჩვენგან დიდსა და ძალიან დიდს მსხვერპლსაო.

—

დაჭრილ მეომართა შესახებ. ყველასთვის ცხადად გამოირკვა, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის ომი ამ ზამთარსაც არ შეჩერდება. მაშასადამე, ჩვენი ჯარი იძულებული იქმნება იბრძოლოს მანჯურიის სასტიკ ყინვა-სიცივეში. ამიტომ საინტერესოდ მიაჩნია გაზეთ „რუსკ. ვედომოსტს» აზრი მცოდნე კაცისა, რომელსაც დიდი ხანი უცხოვრია შორეულ აღმოსავლეთში და შეუსწავლია სალდათის ყოფა-ცხოვრება. იგი ამბობს, რომ ჩვენი უმთავრესი საზრუნი დღეს უნდა იყოს თბილი ტანთსაცმელიო. ჯერ ეხლავ მანჯურიაში დილაობით სიცივე ოთხი-ხუთი გრადუსია და რაღა იქმნება, როდესაც ზამთარი დადგება და სიცივე ორმოც და ათ გრადუსამდე აიწევს!? ჩვენმა ჯარის-კაცებმა ზაფხულში დაჰყარეს ომის დროს შინელები სხვა-და სხვა ბინაზედ, რომ მათი სიმძიმე აეცილებინათ თავიდან. მერე, როდესაც უკან წამოვედით, ეს შინელები თითქმის სულ გადავწვით, რომ მტერს არ ჩაჰვარდნოდა ხელში, და ჩვენი ჯარი კი დღეს უშინლებოდ დარჩა. თბილი ტანთ და ფეხთსაცმელი ეხლა უნდა მივაშველოთ ჯარსა და მეტადრე დაჭრილებს, რომლებსაც სიცივე, მეტადრე სისხლის დაკარგვის შემდეგ, უმთავრეს გაჭირვებაში აყენებს. კარგი იქნება, რომ შინლებს სარჩულად დაუდვან ტყავი. რომ გააკეთებდნენ ტყავიან ტომრებს, უფრო კარგი იქნებოდა, ამიტომ, რომ ავადმყოფებს პირდაპირ ამისთანა ტომრებში ჩავაწყობდით და მაშინ სიცივე ვეღარ იმოქმედებდა მათზედ საზარალოდ. გარდა ამისა, საჭიროა, რომ დაჭრილთა ბინა ხარბინში არა ყოფილიყო. ბაიკალიდან მოკიდებული ხარბინამდე და მეტადრე ხარბინიდან მუკდენამდე რძესა და ხორცს, აგრეთვე მწვანილეულობას ჯერ ეხლაც ძლივა ვშოულობთ და ზამთარში ხომ შეუძლებელი იქნება. ამიტომ საჭიროა, ჩვენი დაჭრილები, რომელნიც კი ომისთვის ვეღარ გამოდგებიან, უეჭველად სამხრეთ-რუსეთისაკენ ვეზიდოთ, თორემ ყოვლად შეუძლებელი იქნება მათი მორჩენა მწირსა და უნაყოფო ხარბინში. მით უმეტეს ეგრედ-წოდებულის რძისა და ხორცის კონსერვები, მეტადრე რუსეთში დამზადებული, მაგდენად სახარბიელო სურსათს არ წარმოადგენსო.

## ახალი ამბავი

—

**საშვილიშვილო უხვი შემოწირულება.** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ცნობილნი ქველმოქმედნი ლევან, იაკობ და პეტრე კონსტანტინეს ძენი ზუბალაშვილნი თავიანთის აწ განსვენებულის ძმის სტეფანე ზუბალაშვილის სახსოვრად სწირავენ თურმე „ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სკოლის საზოგადოებას“ 50,000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს სკოლის ახალ შენობას, და «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას»—10,000 მან.; ეჭვი არ არის, ეს სასიამოვნო ამბავი მადლობის

გრძნობით აღიბეჭდება ქართველთა გულში.

*** **ზუბალაშვილთა უხვი შეწირულება.** გუშინ-წინ ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს აცნობეს ამას წინად გარდაცვალებულის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის ძმებმა, რომ ჩვენის დაუვიწყარის ძმის სახსოვრად ქალაქს შევსწირეთ 100,000 მან. ბავშთათვის საავადმყოფოს ასაგებადაო.

*** **ქართულის დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება.** ახლად არჩეულ გამგეობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიცნო რა საზოგადოების დახლართული საქმეები, მემკვიდრეობით მიღებული წინანდელ გამგეობისაგან, დარწმუნდა, რომ აუცილებლად საჭიროა საგანგებო კრების მოწვევა, მით უფრო ეხლა, როდესაც თეატრის იჯარაზედ ხელი ააღებინა ადმინისტრაციამ.

ახალი გამგეობა, თურმე, უკიდურესს მდგომარეობაშია ჩაყენებული უსახსრობის გამო: ყოველ დღე აწუხებენ მოვალეები და ყველაფერზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ანგარიშში ნაჩვენებ ზარალს გარდა კიდევ აღმოჩენილა სხვა ზარალიც, რომელიც ას თუმანს აღემატება თურმე...

ოღონდაც, რომ მეტად დრამატიულ მდგომარეობაშია ჩვენი დრამატიული საზოგადოება!

*** **შინაგან საქმეთა მინისტრის დეპეშა ჩვენის მარშლისადმი.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის თავად პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკისაგან შემდეგის შინაარსის დეპეშა: «დიდად მ გრძნობელი იყო ჩემთვის სამშობლო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა სალამი. გულითად მადლობას ვუძღვნი თქვენს ბრწყინვალებას და ბ-ნთ წინამძღოლთ და დეპუტატებს».

ეს დეპეშა პასუხი იყო იმ დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა თავად პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა კრებულმა. აი შინაარსი იმ დეპეშისა: «ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლნი და დეპუტატნი ბედნიერნი არიან, რომ უმაღლესმა ნდობამ მონარქისამ აარჩია მათის მიწა-წყლის შვილი მეფურ უფლების განზრახვათა აღმასრულებლად დიად სამშობლოის შინაგან ცხოვრების წარმართვის საქმეში. თქვენი მონათესავე თავად-აზნაურობა, მისის წარმომადგენელთა პირით, გიგზავნით გულითად სალამს და გულწრფელად გისურვებსთ კეთილ-ნაყოფიერ მოღვაწეობას ახალს მაღალ თანამდებობაზედ».

*** **ხოლერა.** 12 ოკდომბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 1 კაცი, გარდაცვლილა წინად ავად გამხდართაგან 4 კაცი.

*** **სამუს. სასწ. საკონც. დარბაზის კურთხევა.** კვირას, 24 ოკდომბერს, აკურთხებენ სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზს საკუთარს შენობაში, გრიბოედოვის ქუჩაზედ. ეს შენობა, როგორც მკითხველთ უნდა ახსოვდეთ, დამთავრდა ბ-ნ ალიხანოვის უხვ შეწირულობით.

*** **სამადლობელი პარაკლისი და ხატის კურთხევა.** გუშინ-წინ, 14 ოკდომბერს, მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინისა და მის მეუღლის კნ. მ. თ. გოლიცინის მშვიდობით გადარჩენის გამო სოლოლაკის გზაზედ ბოროტ-განმზრახველთა თავ-დასხმის დროს, გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი და აკურთხეს ხატები წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა და ღირსისა მარიამ მეგვიპტელის სახელობისა. ოლგას ქუჩაზედ, რუსეთიდგან გადმოსახლებულთა სადგომში, სადაც ხატის კურთხევა მოჰხდა, შეიკრიბა ტფილისის რჩეული საზოგადოება. ხატის კურთხევის შემდეგ გარდაიხადეს პარაკლისი, რათა რუსეთის მხედრობას გამარჯვება მიანიჭოს უფალმა. შემდეგ ამისა, თავ. გ. ს. გოლიცინს გაუგზავნეს პეტერბურგში ამ შემთხვევის გამო დეპეშა და მიულოცეს დღეგრძელობა.

*** **ღვინის სარდაფთა დაკეტვა.** ტფ. პოლიცმეისტერის განკარგულებით, სანამ კენჭის ყრა არ გათავდება იმ ახალგაზდათა, რომელნიც წელს გაიწვიეს სამხედრო ბეგრის მოსახდელად, მანამდე ტფილისის ყველა ღვინის სარდაფები და ლუდხანები დაკეტილი იქნება დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

*** **სოკოთი მოწამლულნი.** 12 ოკდომბერს საბურთალოში სოკოთი მოწამლულა დილმის მამასახლისის თანაშემწის ვასილ ბეზპროზვანოვის მთელი ოჯახი; ავადმყოფნი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წამოუყვანიათ, მაგრამ თვითონ ვასილ ბეზპროზვანოვი და ორი მისი ქალიშვილი—ანნა და ტატიანა, პირველი 18 წლისა და მეორე—10-სა, გზაში გარდაცვლილან, ხოლო ბეზპროზვანოვის მოხუცი დედა და ცოლი საავადმყოფოში მოიყვანეს და მორჩენის გზას ადგანან.

*** **სამკურნალო საზოგ. კრება.** დღეს, 16 ოკდომბერს, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა, რომელზედაც, სხვათა შორის, უნდა განიხილონ კომისიის მოხსენება სამკურნალო-ჰიგიენურ ფურცლების გამოცემისა და უფასოდ ხალხში დარიგების შესახებ.

*** **კენჭის ამოღება.** ტფ. მაზრის ელისაველტალის ნაწილში 15 ოკდომბრიდგან უკვე შეუდგნენ კენჭის ამოღებას ის ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც წელს გაიწვიეს სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

*** **სურათების გამოფენა.** გუშინ «დიდების ტაძარში» დაიწყო გამოფენა რუს და უცხოელ მხატვართა ნაწარმოებისა. გამოფენას განაგებს ტფ. დედათა საქველმოქმედო საზოგადოება მოხუცებულთა და დავრდომილთა სასარგებლოდ. შესვლის ფასია 30 კაპ., მოწაფეთათვის—15 კაპ.

*** **ფოთის ებრაელთა გაწვევა ბეგრის მოსახდელად,** ქუთაისის საგუბერნიო სამხედრო ბეგრის საკრებულოს დადგენილებით, მოჰხდება ახალ-სენაკში და არა ქუთაისში, როგორც წინად იყო.

*** **ღვინის მოსავალი კახეთში.** როგორც გვატყობინებენ, წელს ღვინიის მოსავალი კახეთში საერთოდ საშუალოა, ხოლო შარშანდელზე კი ნაკლები. სოფლის ვენახები უფრო სჯობია ბოლოსას, გაზაფხულის სიცივემ დიდად დააზარალა ბოლოს ვენახები, ნახევარ მტევანს ქვემოდ მარცვალი მოშუშა და ყვავილში გასცვივდა.

შარშანდელი ღვინო გაღმა მხრისა უფრო ადრე გაიყიდა, ვიდრე გაღმა—ალაზნის მარცხენა მხრისა. შარშან ზაფხულს გაღმა მხრის ღვინო თითქმის $^2/_3$ გაუყიდავი ედგათ ქვევრებში. შემოდგომა მოახლოვდა, ახალი მოსავალი კარზე იყო მომდგარი და ჰურჭელი უნდა დაეცალათ. ჯერ შარშანდელის ღვინის ფასი როგორ იყო დაცემული, ახლა ახალი მოსავალი მოახლოვდა და ფასი აღარავინ გაიმეტა. საპალნე 35—40 მან. გაიყიდა. ერთ ხანად ურემი (3 საპალნეა) ათ თუმნადაც იყიდებოდა. ამისათვის, როგორც იყო, შარშანდელი ღვინო სულ გასაღდა და ქვევრები დაიცალა ახალისთვის. ბევრ სოფელში ტკბილი დამაჰრდა და წვრილი მოვაჭრეები უკვე ყიდულობენ საპალნეს (32 ჩაფს) 50—55 მანეთად.

*** **კ-ნა ხერხეულიძის დაჭრა.** 11 ოკდომბერს, ღამე, საავადმყოფოში მიიყვანეს მუცელში ხანჯლით მძიმედ დაჭრილი კნეინა სოფიო დავითის ასული ხერხეულიძისა, რომელიც სცხოვრობდა პოლიციის მე-9 ნაწილში, რაზიეზდნი ქუჩაზე, თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლში. ღამის 11 საათზე კნეინა ხერხეულიძისა ეზოში გამოსულა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ჩაუკრავს მუცელში ხანჯალი და გაქცეულა. ვინაობა ბოროტ-განმზრახველისა ვერ გამოარკვიეს. ბოლოს დაჭრილის ქალს მართას განუცხადებია პოლიციისათვის, დედა ჩემი დასჭრა რაჭის მაზრის სოფელ მუხურის მცხოვრებმა, გლეხმა ვლადიმერ ბარბაქაძემაო. ბარბაქაძე პოლიციამ უკვე დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

*** **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი** დიმიტრი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება სამსახურის საქმეთა გამო. ყოვლად-სამღვდელო ტფილისში დარჩება 18 ოკდომბრამდე.

*** **მუშის დაშავება.** 13 ოკდომბერს ლიბერმანის სტამბაში (კრილოვის ქუჩაზეა) მანქანებზედ ქაღალდის დამწყობმა მუშამ თავადმა (?) ილია ფიცხელაურმა მუშაობის დროს უცაბედათ მარჯვენა ხელი. მანქანას მოაყოლა და დაუშავდა.

*** **დაკარგული ბავშვი.** პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებმა ემანუილ ვოდამ განუცხადა პოლიციას, რომ 12 ოკდომბერს, დილით, სახლიდგან გამოსულა მასთან მოსამსახურედ მყოფი ნატალია ქაპუაშვილის ქალი, 10 წლისა, და მას აქეთია არ დაბრუნებულა.

# საქართველო

**სიღნაღი.** ღამის აიკლონ სიღნაღი ქურდებმა: სტეხავენ დუქნებს, სტეხავენ სახლებს, მუქთად ხელიდან ართმევენ სოფლიდან შემომტან ხალხს სარჩო-საბადებელს და პოლიციას-კი სძინავს. ქურდებს ვერ ასახელებენ და ბეჩავ ხალხზე ყრილობენ ჯავრს, დაუჭერიათ მაჯის სიმსხო მათრახები და გადადის გლეხკაცობის ზურგზე.

ენკენისთვის 7-ში, საღამოთი, საათის 8-ზე, შევიდნენ ქურდები დათიკო დონჯაშვილის დუქანში, გამოიღეს მთელის დღის ნავაჭრი დახლი და წაიღეს თავის ყუთიანად ფული, თამასუქები, ბარათები და სხვა-და-სხვა საბუთების ქაღალდები და ღლესაც მიდის! დათიკოს და იმის ორ ბიჭს მისძინებოდათ დაღალულობისაგან მოქანცულებს; ამ დღეს დიდი ვაჭრობა ჰქონდათ, რადგან 8-ს დღეობა იყო და სოფლელნი აქიდან ეზიდებოდნენ ღვინოს. იმ დროს, როცა დახლი მოიტაცეს, იქვე იდგა „გარადავოი“ და მძიმეთ იგრეხდა ულვაშებს, ბოროტ-განმზრახველნი კი დუქანს აცარიელებდნენ.

გაუტეხეს დუქანი ა. ყორღანოვს, მაგრამ ვერა წაიღეს-რა, გაუტეხეს სახლი 22 ენკენისთვეს მესტამბეს ნ. ზარიძეს დილით, საათის 11-ზედ, და გაიტანეს შევერცხლილი ხანჯალი, ფული; ფული ყულაბებიდან ამოეღოთ. ყულაბები დამტვრეული ეყარა იატაკზე.

საწყალი ზარიძე! გაცხარებული დაეძებდა ქალაქის ბოქაულს, ბოქაულმა თანაშემწეზე გაუშვირა ხელი, თანაშემწემ უფროს „გარადოვოიზე“. ამათ არც ერთმა არ შეისმინეს, ქურდები მიიმალნენ და საქმეც ჩაფარცხულია ჯერ-ჯერობით და, ვგონებ, შემდეგ უფრო ბეჯითად ჩაიფარცხება.

ენკენისთვის 29 ს თელავის მაზრის ს. ძველ-გავაზიდან გამოიარა მეეტლე სოსია შავლიაშვილმა, რომელსაც მგზავრები მიჰყავნდა სადღაც. სიღნაღის ქვემო მეიდნის აღმართში ცხენები შეუდგნენ მეეტლეს, გაუჯავრდა ცხენებს, მაგრამ ცხენებმა არ შეისმინეს; რასაკვირველია, „კნუტით“ გაუჯავრდა ცხენებს მეეტლე; სანამ მგზავრები გადმოვიდოდნენ, ჩამოილო ეტლის კოფოდან მეეტლე უფროსმა გარადავოიმ და იმდენი სცემეს საცოდავ კაცს, რომ ცხვირ-პირი სისხლით აუვსეს, სცემდნენ მათრახით, ხმლის ყუით და წიხლით, გვერდები ჩაულეწეს. თურმე ეს ვაჟბატონები ერთ დედაკაცს ბრონწეულებს ართმევდნენ და ამ არეულ-დარეულობაში დედა-კაცი ხელიდან გაუსხლტათ და სადღაც მიეფარა. დედა-კაცის ჯავრი ამ ვაჟ-ბატონებმა საცოდავ და უპატრონო მეეტლეზე იყარეს. რა დედაკაცები, რა სხვა, ისე არიან დაციხვინებულნი ეს ქალაქის კეთილ დღეობის მცველი გარადოვოები, რომ კაცი შიშით დუქანში ვერ შესულა, სულ ხელში შეჰყურებენ, ან ეხლა დამალევინებს არაყს და ან ეხლაო. აბა, დაიარეთ მთელი ქალაქი, ქალაქის ქუჩები, თუ თვალით დაინახოთ გარადოვოები. მაშ, სად არის 15 კაცი? სადაც მომეტებული ხალხი ტრიალებს, სოფლებიდან მოსული! პურის საჭმელად და საქეიფოთ იქ არიან. ოთარაანთ, თუნიაანთ, მღებრიანთ და ზურაშვილის სარდაფებში. თუ ამ სარდაფებში სუფრა გაიშალა, იცოცხლეთ, მთელი სიღნაღი ამოსწყვიტონ, ესენი აქედან ფეხს არ მოიცვლიან. ერთს ეხლა მენდალი მისცეს! ამ მენდლით ისე გათამამებულა, რომ ხალხი ბუზათაც აღარ მიაჩნია, ხან ვის უტყაპუნებს მათრახს და ხან ვის. ერთმა კაცმა ჰკითხა ერთ გარადავოის: „რა დააშავა მეფაიტონემ, რომ ასე ულმერთოდ სცემეთო და ან რა ნება გაქვთ, რათა სცემთო».—ის ცოტაც იყოო, პრისტავმა გვიბრძანა, ჩამოიღეთ და მოკალით, სცემეთ, სცემეთ, რაც შეიძლოთო. რამდენად მართალია ესა, ღმერთმა უწყის.

ეხლა აქეთ გაცხარებული რთველია.

სიღნაღელი.

# სასარგებლო ცნობა

## როგორ უნდა შეიღებოს ხალიჩების საქსოვ ლაზღის ძაფი წამლებით?

(მოკლე დარიგება შინად-მრეწველთათვის).

მატყლის ნართის ღებვა სახალიჩე ახალ წამლებით შეიძლება ამ რიგად:

სღებავისათვის უნდა აიღოთ იმდენი წყალი, რომ ადვილად მოათავსოთ და ატრიალოთ ყველა ნართები საღებავად განზრახულ ხალიჩის ლაზღის ძაფისა. ქვაბში დამზადებული წყალი იმდენად უნდა შეათბოთ, რომ შიგ თავისუფლად შეიძლებოდეს ხელის გაჩერება და შემდეგ უნდა ჩაასხათ წინადვე ცხელ წყალში გახსნილი იმდენი წამალი და აგარკები, რამდენიც საჭიროა (აგარკა მზადდება გლაუბერის მარილისა და გოგირდის სიმჟავისაგან). შემდეგ ამისა თბილ წყალში კარგად უნდა გაიხსნას შიგ ჩარეული წამლები და მერე ჩაალაგოთ ნართები, ისე კი, რომ ნართები წინდაწინვე იქმნეს დასველებული ცივსა ანუ თბილს წყალში; ცხელს წყალში კი არ ივარგებს დასველება. ნართების დასველება შეიძლება საღებავებისათვის დამზადებულ თბილ წყალშიაც მანამდე, ვიდრე შიგ წამლებს ჩაურევდეთ. როცა ნართები ჩაიმალება ქვაბში, საღებავი ნელ-ნელა უნდა ადუღოთ და ნართი ატრიალოთ ასე მდუღარე საღებავში, ხოლო დუღილმა არ უნდა გასტანოს ერთს საათზედ მეტს. საღებავი წამალი და აგარკები ერთისა და იმავე ზომისა უნდა იყოს. ხოლო თუ გსურთ, რომ ლაზღის ძაფი მეტის მუქის ფერისა იყოს, მაშინ საჭიროა მეტი საღებავი წამალი და აგარკები, ხოლო თუ ბაცი ფერისა—მაშინ ნაკლები უნდა იყოს ერთიც და მეორეც.

აგარკები საღებავ წამლებისათვის მით უფრო საჭიროა, რომ მასთან შერეულ წამლებისაგან თანაბრად იღებება ნართი. თუ საღებავი წამალი ნახევარ საათის დუღილს შემდეგ ისევ ისე მღვრიეა (საღებავი ნართისაგან არ არის შესმული), უნდა კიდევ გაიხსნას აგარკები იმდენი, რამდენიც პირველად საღებავს შეურიეთ, ჩაუმატოთ და კიდევ აადუღოთ არა ნაკლებ ნახევარ საათისა.

თუ საჭიროა ძალიან მუქი ფერი, მაშინ აგარკები ორჯელ უნდა მიუმატოთ, ე. ი. სამი წილი ეს უნდა იყოს და ერთი წილი—წამალი.

დაწვრილებითნი ცნობანი სახალიჩე საღებავ წამლებისა, როგორც ქართულსა, ისე თათრულსა, სომხურსა და რუსულს ენებზედ მალე დაიბეჭდება და შეიძლება მიიღოთ: ტფილისში, კავკასიის შინადმრეწველობის კომიტეტის კანცელარიიდგან.

# რუსეთი

—მოსკოვის სამაზრო საერობო გამგეობის წევრთა და თავჯდომარეს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. არ იციან, რით გათავდება საქმე.

მოსკოვის საბჭომ დაადგინა, დააჯარიმოს 25 მანეთით ის ხმოსნები, რომელნიც არ დაესწრებიან საბჭოს კრებას არა პატივსადებ მიზეზით და ფული დაჭრილთა სასარგებლოდ გადაიდოს.

— «მთავრობის მოამბეში» დაბეჭდილია ანგარიში საერო განათლების მზრუნველთა ბჭობისა, რომელიც მინისტრის თავმჯდომარეობით იყო.

—გადასწყდა, რომ ხელ-ახლად გადაისინჯოს პროექტი საგლეხ-კაცო კანონთა დებულებისა. თუ აქამდე გუბერნატორის თავმჯდომარეობით სწარმოებდა ბჭობა ამ საგანზედ და წევრად მიწვეულნი იყვნენ ისინი, ვისაც გუბერნატორი დანიშნავდა, ახლა წევრებად იქმნებიან ერობისა და გლეხ-კაცთა საზოგადოების წარმომადგენელნი, რომელნიც დაინიშნებიან თვით ერობათა და საზოგადოებათაგან.

—უკვე შესდგა ქ. პეტერბურგის ხარჯთ-

# ფელეტონი

## სად წავიდნენ კაწარელნი?

(ისტორიული გადმოცემა *).

სამი თვე სრულდებოდა თითქმის, რაც სამების ციხეს მჭიდრო ალყა შემოარტყა ლეკმა **). სხვაფრივ ვერ შესძლეს მცხოვრებთა აფორიაქება, ამოწყვეტა, რადგანაც, რამწამს გაიგეს სამებელებმა, ლეკი მოდისო, მაშინვე ციხეს შეეფარნენ.

რაც კი რამ ეგულებოდათ ძვირფასი, ციხეში შეიტანეს. სურსათი—საჭმელ-სასმელი, თუ სხვა საჭირო მასალა ომის დროს მოიმარაგეს, ციხეში შეზიდეს.

რაც ებადათ მცხოვრებთ, ყველაფერი საერთო ჭირის სანაცვლოდ დასდეს.

წყაროც დაათვალიერეს, ხომ არსად გაჩენილა ზედა პირზედ, რომ მტერმა არ მოაგნოს და არ მოგვიწყვიტოსო.

ყორნის მთის წყარო ისევ ძველებურად მოწანწკარებდა მისთვის საგანგებოდ მომზადებულს იდუმალს ვიწრო ხვრელში.

კაცი, ქალი, ბავშვები თუ საქონელი ყველა ციხის კედლებს შეეფარა იმედიანად.

ვაჟ-კაცებმა კოშკები და კედლები გაამაგრეს, სათოფურებს ამოუსხდნენ და მტერს ელოდნენ. მტერმა დიდი ხანი არ ალოდინა. მალე გამოითარეშა სამების ვაკე-ველებზედ და, რაც რამ დარჩენოდათ სოფლელებს წაუღებელი, აანიავა, იავარ ჰყო.

შემდეგ მედგარი იერიში მიიტანეს ციხეზედ, მაგრამ მამაცმა მეციხოვნეებმა ღირსეული მასპინძლობა გაუწიეს მტერს; მრავალი წამოაწვინეს მწვანე ველზედ სასიკვდილოდ.

თავგასულმა მტერმა თავისი არ დაიშალა. დასვენების შემდეგ კიდევ გამეორდა იერიში.

კიდევ უარესი დაემართა.

რამდენჯერმე სცადეს ეგრე თავისი ბიჭობა და მეციხოვნეთა გულადობა-სიმარჯვე. ციხე მტკიცედ იდგა, არა სდრკებოდა.

მართალია, შიგ მყოფნიც დაზარალდნენ, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდნენ. იმედი ჰქონდათ, რამდენისამე დღის უნაყოფო ბრძოლის შემდეგ ლეკები წავიდნენ იქიდან სხვაგან უფრო სუმბუქს დავლაზედ.

ანგარიში სწორე არ გამოდგა.

მტერმა რომ ნახა, ციხე ძალაზედ იდგა, არა ჰნებდებოდა, გაჯავრებულმა გადაწყვიტა შიმშილით დაემარცხებინა და თავხედობა კი არ შეერჩინა მეციხოვნეთათვის.

დაბანაკდა ციხის გარეშემო და დროს ქეიფსა და შექცევაში ატარებდა. ხანდახანაც გულის გასაყოლებლად და შესაშინებლად სროლას აუტეხავდა ხოლმე სამებელებს.

სამი თვე სრულდებოდა, რაც ციხის კარი არ გაღებულიყო. სამებელები გამომწყვდეულები ისხდნენ, როგორც თაგვები მახეში. რაც სანოვაგე ჰქონდათ,

*) კაწარეთი ძველად ყოფილა სოფელი, როგორც ამბობენ ჩვენნი სიძველის მკვლევარნი, ივრის მარცხენა ნაპირიდან სამი-ოთხი ვერსის სიშორეზედ ტყეში, სადაც ეხლაც მაგრად სდგას ძველი სამების ტაძარი. ამ ტაძრის გარშემო ყოფილა სოფელი, მგონია, იმას უნდა რქმეოდეს «კაწარეთი» (ან, შეიძლება, იქვე მახლობლად სამებისა—ასე ნახევარ ვერსის მოშორებით—არის კიდევ სხვა «ნასოფლარი», სადაც ბლომად არის შენობების ნანგრევები, ის იყოს ძველი კაწარეთი). «ქართ. მოქცევაში» ნათქვამია: «ნინო შთავიდა კხოეთად და დადგა კაწარეთს»... თ. ჟორდანია შენიშნავს (შენიშ. 69): „კაწარეთი (უჯარმიდამ ექვსს ვერსზედ, იორს გაღმა) უმთავრესი დაბა ყოფილა იმ მხარეს. ძველი ეკლესია კაწარეთისა აღშენებული უნდა იყოს იქ, სადაც წმიდა ნინომ აღმართა ჯვარი“. (თ. ჟორდ. ქრონ. ტ. I).

ხალხის ხსოვნას კაწარეთის ხსენება აღარ შერჩენია. შენახულა მარტო სახელწოდება «სამებელნი», ე. ი. სოფელ სამების მცხოვრებნი. მაგრამ იმ სოფელს უწინ უნდა რქმეოდეს „კაწარეთი“, შემდეგ დაეძახნოთ „სამება“, ვინაიდან ადგილ-მდებარეობა ორსავე ერთსა და იმავე ადგილს აქვს მიკუთვნებული, სახელდობრ იმას, სადაც ეხლა წმ. სამების ეკლესიაა.

სამების ტაძარს მაღალი და მაგარი კედელი ავლია. ეს ციხე-სიმაგრე ყოფილა ერთად-ერთი ნუგეში და სიმტკიცე უწინდელ ბარბაროსულ რბევის დროს.

სოფ. სამების უკანასკნელის აკლებისა და მცხოვრებთა იმ ადგილიდან სამუდამოთ გადახვეწის შესახებ ხალხში დარჩენილა ეს გადმოცემა, რომელიც ნაამბობია მოხუცის გლეხის სვიმონ ქოქრაშვილისაგან ს. ხაშმზედ და რომელიც ჩვენ აქ მოგვყავს. დ. ნ.

**) მე მგონია, უფრო სპარსელები, ან, შეიძლება, მონგოლებიც ყოფილიყვნენ იმ დროს, მაგრამ უკანასკნელ ლეკიანობის შიშის გამო ხალხი ყველა უბედურებას ლეკებს აწერს, სანამ ტნაოდ შიგნით და ვა[...] კახეთში. დ. ნ.

აღრიცხვა მომავალის წლისათვის. შემოსავალი აღრიცხულია 30 მილიონამდე, ხარჯი ნავარაუდევია თითქმის ამდენივე. რჩება ძირს 73 ათასი მან.

—შესდგა ახალი წესი დისერტაციის დაცვისა სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში.

— პეტერბურგმა განიზრახა შუშით დააგოს ზოგიერთი ადგილი და ტროტუარები. ნიმუში შუშათა პარიჟიდან მოუვიდა.

— ზოგიერთნი მწერალნი სცდილობენ კვლავ აღადგინონ «კავშირი მწერალთა", გაუქმებული სიპიაგინის მინისტრობის დროს.

—როგორც «პრავო» იუწყება, პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილთ განუზრახავთ შუამდგომლობის აღძვრა შინაგან საქმეთა მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკის წინაშე იმის გამო, რომ ნება დართოს განსვენებულ მინისტრ პლევეს-მიერ გადასახლებულ ვექილთ პ. ნ. პერევერზევსა, ფ. ა. ვოლკენშტეინსა და სხვ. დაბრუნდნენ პეტერბურგში.

—ნება-დართულია უბაჟოდ იქმნას შემოტანილი სამზღვარ-გარეთიდან სახელმძღვანელო და სწავლებაში გამოსადეგი წიგნები.

— შედგენილ იქმნა პროექტი, რომ ქალაქებს ნება მიეცეთ ახდევინონ გადასახადი იმათ, ვისაც ქალაქში საქონელი შეაქვს რკინის-გზებით, ან ქალაქიდან გააქვთ.

— როგორც პროფ. ი. თარხნიშვილი იუწყება, ამ ჟამად შემდგარა მსოფლიო საერთაშორისო საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს მოაწყოს სპეციალური ექსპერიმენტალური ინსტიტუტი. ინსტიტუტი მრავალ-გვარ ცდას მოახდენს იმ მაიმუნებზე, რომელნიც ადამიანსა ჰგვანან და რომელთა სისხლიც ადამიანის სისხლისაგან არაფრით განირჩევა. თარხნიშვილის აზრით, ასეთს ფიზიოლოგიურს გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა ექმნება, რადგან სხვა და სხვა შრატის თვისება ამ შემთხვევაში უკეთ იქმნება გამორკვეული, ვიდრე თეთრ კურდღლების სისხლზედ, როგორც აქამდე იქცეოდნენ. თეთრ კურდღლების სისხლი არაფრით არა ჰგავს ადამიანის სისხლს.

— პეტერბურგში არსდება დედათა სალიტერატურო საზოგადოება. მოთაოვება უკისრნია «Женскій Вѣстникъ»-ის რედაქციას.

— პეტერბურგშივე დაარსდა დედათა საკომერციო 7 კლასიანი სასწავლებელი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ტულუზაში კრება ჰქონდათ რადიკალებს. ყოველ წლივ იკრიბებიან და ვარაუდობენ, რა გავაკეთეთ წლის განმავლობაში და რა უნდა გავაკეთოთ შემდეგაო. შარშან ამისთანა კრება იყო ლიონში. რადიკალები ორ ჯგუფად განიყოფებიან—რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები. რადიკალ-სოციალისტები უფრო მუშათა დასს ემხრობიან და ეტანებიან ეკონომიურ ხასიათის რეფორმებს. აღარ უნდა ვიცადოთ, ვიდრე თან და თან გადაიქცეოდეს ზოგიერთი კერძო საკუთრება საზოგადო საკუთრებად, არამედ ახლავე უნდა მოჰხდეს ეგაო. კონგრესზედაც ამ აზრით მოვიდნენ, რომ დავაჯეროთ მეორე ჯგუფი რადიკალებისა, რაოდენად საჭიროა ამისთანა რეფორმებიო. რადიკალები კი, ცოტა არ იყოს, შიშობენ ამისთანა რეფორმების წინაშე და მეტს ყურადღებას აქცევენ ბრძოლას კლერიკალებისა და ნაციონალისტების წინააღმდეგ. ამ საქმეშიაც კი საჭიროდ მიაჩნიათ სიფრთხილე. კონგრესის ინტერესი ის იყო, რომელი ჯგუფი გაიტანდა თავისას. ბევრს იმედი ჰქონდა, რომ ჩხუბი მოუვათ რადიკალებს და ჩვენი საქმე გაკეთდებაო. მაგრამ არ გამართლდა ამათი იმედები. რადიკალები ორისავე ჯგუფისა მშვიდობიანად მორიგდნენ და ზოგიერთებმა მხარი დაუჭირეს უმწვერვალესის მიმართულებისას. კონგრესმა გადასწყვიტა, რომ მთავრობამა და პარლამენტმა უნდა გაათავოს, დაასრულოს საქმე სახელმწიფოს განცალკევებისა ეკკლესიისაგანაო. შეიწყნარა აგრედვე რუვიეს პროექტი პროგრესიულად შემოსავლის კვალობაზედ ხარჯის გაწერისა. მართალია, ეს პროექტი რადიკალსოციალისტებს სავსებით არ მოსწონთ, მაგრამ მაინც უმრავლესობას მიემხრნენ. სენატი უფრო ადვილად შეიწყნარებს ამ პროექტს და მერე კიდევ შეიძლება შეცვალოო. დაუმეტეს მხოლოდ, რომ სასურველია მომატებულ იქმნას გარდასახადი მემკვიდრეობით დატოვებულ ქონებაზედ და მისი მიღება შეზღუდულ იქმნას მეოთხე თაობის ნათესაობამდე. ამას გარდა, კონგრესმა ერთხმად გამოსთქვა სურვილი, რომ რკინის გზები სახელმწიფო საკუთრებად გადაიქცეს, სახელმწიფომ მოაწყოს კრედიტის საქმე სოფლელთათვის, მრეწველობისა და ვაჭრობისათვის, მოაწყოს აგრედვე შეღავათიანის პირობით ჭირნახულისა და ყოველ-გვარ მოსავლის დაზღვევა.

რაიცა შეეხება ფართო სოციალურს რეფორმებს, ამ საგანშიაც კონგრესმა ერთობილი სურვილი გამოაცხადა, რომ ეგ რეფორმები ყოვლად საჭიროაო. ერთმა რადიკალმა სთქვა, რადიკალებს უნდა ახსოვდეთ, რომ იმათ მტრები ჰყავთ არა მარტო მარჯნივა, არამედ მარცხნივაცაო. ამაზედ მეორემ უპასუხა, რადიკალებს მარცხნივ მტრები არა ჰყავთ და არც ეყოლებათო. მორის სარომ გამოაცხადა—და ასტყდა ძახილიც „გაუმარჯოს ჟორესსაო!",—რომ ჩვენ კვლავაც მუშათა დასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ საუკეთესო და უფრო სამართლიანის წესწყობილების დასამკვიდრებლადაო. და სხვ.

სარომ დეკლარაციაც წაიკითხა და აღნიშნა, რას ეტანება და რა სწადიან მუშათა დასს. მისი წადილია, რომ ყველა მუშა დაზღვეულ იქმნას და სიბერეში ლუკმა პური ჰქონდეს უზრუნველი, შემოღებულ იქმნას გარდასახადი შემოსავლის კვალობაზე, ორს წელიწადზედ მეტს ხანს არ იყოს სავალდებულო მხედრობაში სამსახური, გაუკეთესდეს ვითარება შრომისა, უფრო სამართლიანი ურთიერთობა დამყარდეს შრომასა და კაპიტალს შორის, მუშას ჰქონდეს ნება თავისუფლად იცავდეს თავის უფლებასა და ინტერესებს ქონებრივისა და ზნეობრივის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რადიკალთა დასმა,—ეწერა ბოლოს დეკლარაციაში,—ძმურად გაუწოდა ხელი მუშათა დასს მათ უფლებათა დასაცველად და მოსაპოვებლად. შემდეგაც ამას უნდა ელოდეს და იმედი ჰქონდეს, რომ ეს დასი მასთან ერთად ეცდება იმ რეფორმების განხორციელებას, რომელსაც ეტანება დემოკრატია. მისი სურვილიც ის არის, რომ დამყარდეს თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა.

დეკლარაცია დიდის ტაშის კვრით იქმნა მიღებული.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რაც შესძლვნა რუსეთს მფარველობითმა სადამოჟნო პოლიტიკამ, ამაზედ არა ერთხელ გვქონია დაბეჭდილი თუ ცალკე წერილები (იხ. საყურადღებო წერილები «ფიქრი და შენიშვნა» ა. კ—ძისა «ივერიაში») და თუ გაზეთებიდან ამოკრებილნი ცნობანი, მაგ. რადცივისა, მაგრამ მაინც კიდევ მოვიყვანთ აქ იმ ციფრებს, რომელიც მჭევრ-მეტყველებით ჰღაღადებს საზოგადოდ მფარველობითის სისტემის მავნებლობას. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ გაზ. «ნოვ»-ში:

1897 წელს ინგლისსა და ბელგიაში რელსები ჰღირდა ფუთი 60 კაპ., ხოლო რუსეთში 1 მან. 50 კაპ; ციმბირის გზისათვის ინგლისის ქარხნებმა შემოგვაძლიეს რელსები 75 კაპ. ფუთი, მაგრამ ჩვენ ჩვენის ქარხნებისა ვირჩიეთ და მივეცით ფუთში 2 მან; ამავე დროს ამერიკაში რელსები ჰღირდა 57 კაპ. ფუთი. 15 წლის განმავლობაში მეტი გავიღეთ მარტო რელსებში 151 მილიონი მანათი.

მფარველობითის სისტემისა და არაპირდაპირ გადასახადთა წყალობით რუსი-მომხმარებელი ბევრად მეტს იხდის, ვიდრე გერმანელი: ტილოეულში 225 პროცენტს, ჩითეულში—357, თუთუნში—687, ქაღალდში—690, ჩაიში—304. გამოანგარიშებულია, რომ სოფლელმა მეტი უნდა გაიღოს ხორბალი ნემეცზედ, მარილის ქვაში 3-ჯერ მეტი, ნახშირში—6-ჯერ მეტი, თუჯში—$4^1/_4$-ჯერ მეტი. არსად ისე ძვირი არ არის ცხოვრება, როგორც რუსეთში, ქვეყანა ძრიელ დარიბი-კია. თვით ფინანსთა სამინისტრომ იანგარიშა, რომ რუსეთის მკვიდრნი მეტს იხდიან ჩითეულობაში 123 მილიონ მანათს ყოველ-წლივაა. პოკროვსკის ანგარიშით, სულ 12 ნაირ საქონელში 300 მილიონი მეტი მიდის ყოველ წლივ. აქედან მხოლოდ 70 მილიონი შესდის ხაზინას, დანარჩენი 230 მილიონი კაპიტალისტების ხელში გადადის. წელიწადში ეგ მფარველობითი სისტემა ანუ პროტექციონიზმი რუსეთს უჯდება 700 მილიონი. მრეწველობას მხარს უჭერენ სხვა-ფრივაც: სუბსიდიებით, საქონლის შეგზვნით ხაზინისაგან, შეღავათიანის კრედიტით და სხვა.

და თუმცა ესოდენ დიდია მსხვერპლი სასოფლო მეურნეობისა ინდუსტრიის წინაშე, მაინც ბოლო და სამზღვარი არ მიეცა ამ მსხვერპლის გაწირვას.

გაზ. «პრავო» ამბობს, რომ ახალ ცხოვრების კარ-წინა ვდგევართ, მაგრამ ის კარი გაგვეღება მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვას საქმე მოჰყვებაო, როცა სიტყვას არ დავჯერდებით და საქმეს შევუდგებითო.

თვით მხურვალე მომხრე ბიუროკრატიისა ვერ იტყვის, რომ მან შესძლო და თავი გაართვა მძიმე საქმეს რუსეთის ცხოვრების მოწყობისას; რომ მან მოახერხა და წასწია წინ რუსეთი, განავითარა მისი ნივთიერი და სულიერი ძლიერება, უზრუნველ-ჰყო შინაგანი მშვიდობა და საერთაშორისო შემძლებელობა დიდებულ ქვეყნისა.

განა ვინ-და ეჭვობს ახლა, თუნდ თვით ბიუროკრატთა შორის, რომ იმისთანა დიდს საქმეს, როგორიც არის საქმე ეროვნული, საგლეხ-კაცო რეფორმისა, ერის განათლებისა, ბიუროკრატია ვერას გააწყობს თვისის საკუთარის ძალ-ღონით, თუ არ მიჰმართა «ქვეყნის შემომქმედ ყოვლთა ძალთა საღარიბს?».

განა რამდენისამე ათის წლის გამოცდილებამ არ დაამტკიცა ყოვლად შეუძლებლობა პროვინციის მოწყობისა ცალკე, საერთო ღონისძიების მიუღებლად? ვინ არ იცის, რომ პროვინციის თვით-მმართველობის განვითარება შეუძლებელია იმ დრომდე, ვიდრე უმთავრესს მმართველობას ბიუროკრატიული ხასიათი აქვს?

თუ ეს ასეა, გაუფრთხილებლობა და თავსუბუქობა იქნება ვიფიქროთ, რომ ვითომ შეიძლებოდეს სამოციან წლებს დავუბრუნდეთ კვლავ.

წინ უნდა წავიდეთ. არ შეიძლება მოველოდეთ ხსნას საკანონმდებლო პალიატივებისაგან; არ უნდა ვხუჭავდეთ თვალს იმის წინაშე, თუ რაოდენ დიდია და უზარმაზარი წინამდებარე გასაკეთებელი საქმე; უნდა წინადვე გამოვზომოთ ამ საქმის სიძნელე და, როცა მისს განხორციელებას შევუდგებით, არ უნდა დავიხიოთ უკან პირველისავე დაბრკოლების წინაშე, არ უნდა დავტრიალდეთ უკან თავ-ჩაქინდრულნი, პირველისავე ჭოჭმანით შემდრკალნი, შეშინებულნი.

## წერილი

### რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მამეცით თქვენის გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოვუცხადო ქვემოდ მოხსენებულთ რომლებმაც ნაგომრის სამრევლო სკოლის ღარიბ მოწაფეთ დაუკვეთეს ახალი ჟურნალი «ნაკადული»:

ნინო ჯაყელი—40 კ., თ. ევსიხი ნაკაშიძე—50 კ., ლეონ ხუნდაძე—50., ის. ცეცხლაძე—40 კ., პლ. ელენტი—40 კ., სიმ. წერეთელი—20 კ., თ. გრ. თავდგირიძე—50 კ., თამარა შარაშიძე—40 კ., გიორგი ქოლოშვილი—40 კ., მიხ. ახალაძე—25 კ., თ. ცხომელიძე—30 კ., ს. თ-ძე—50 კ., სულ ხუთი მანეთი, რომელიც გადავეცი კიდეც „ნაკადულის" რედაქციას.

ს. თავართქილაძე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ოქტომბერი.

**ჰიბრალტარი.** (რეიტერი). ლამანშის ესკადრამ ნახშირი დაუდო, აგრეთვე სამხედრო მასალა და სურსათი და მზად არის დაუყოვნებლივ გავიდეს ზღვაში. სამხედრო გემები და კრეისერები სასტიკად იცავენ სრუტესა. იუწყებიან, მალე ელიან აქ ხმელთა შუა ზღვის ესკადრასო. საზღვაო არსენალში დიდი მუშაობაა, დღე და ღამე მუშაობენ. საამირბარო შეეკითხა ნახშირით მოვაჭრეებს, რამდენი ნახშირი აქვთ და რა ფასში დაუთმობენ.—ინგლისის სამმა ჯავშნიანმა გემმა და სამმა კრეისერმა ბრძანება მიიღეს, 15 ოქტომბერს დილით გავიდნენ ზღვაში. ხმაა, ამ გემებმა ბრძანება მიიღეს თვალყური ადევნონ რუსის ფლოტის ჯავშნოსნებსა, რომლებიც, როგორც ჰგონებენ, წავლენ შორეულ აღმოსავლეთს და გაუვლიან კონცხს «დობროი ნადეჟდისას» იმ დროს, როცა კრეისერები და ნაღმიანები გაივლიან ჰიბრალტარის სრუტეზე და და წავლენ პორტ-საიდს, საიდანაც შემდეგ გაივლიან სუეცის არხსა. მთელი ნაღმოსანთა ფლოტილია ჰიბრალტარისა შეაგროვეს.

**მადრიდი.** (რეიტერი). ამირბარმა როჟდესტვენსკიმ განაცხადა, ინციდენტი ჩრდილოეთის ზღვაზე აუცილებელი იყოო. მე ისე მოვიქეცი, როგორც სინიდისი მეუბნებოდა, იმ აზრით, რომ ესკადრა დაღუპვას გადამერჩინა. ლიბავიდან გამოსვლამდე მე, მართალია, გამოვაცხადე, რომ ყველა გემს სასტიკად მოვეპყრობი-მეთქი, რომელიც კი ესკადრას დაუახლოვდება. ამირბარი სწუხს, რომ საკმაო სურსათს ვერ წაიღებს. ეხლა კმაყოფილდება 400 ტონნითა თვითეულის გემისათვის, რომ მივიდეს იმ სრუტემდე, სადაც, ზღვის სიმშვიდისა გამო, მას შეეძლება ბლომად დაუდოს სურსათი და ყოველივე საჭირო გემებისათვის.

**ვიგო.** რუსის კონსულმა ესკადრა ნახა. ხმაა, მთავრობამ უბრძანა, რაც შეიძლება ცოტა ხანს დარჩეს ესკადრა ვიგოში, რომ თავი აარიდოს ბოროტ-განმზრახველებს.

15 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ოფიციალურად. უმთავრესმა შტაბმა გამოაცხადა შემდეგი ორი დეპეშა როჟდესტვენსკისა: 1) შემთხვევა ნემეცის ზღვაში გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ორი ნაღმოსანი წამოვიდა სიბნელის წყალობით რაზმის მოწინავე გემებისაკენ. როდესაც ჩვენ გავანათეთ ფარნები და დავუშინეთ ზარბაზნები, მაშინ კიდევ გამოჩნდნენ რამდენიმე პატარა გემები, რომელნიც სათევზაო ნავებს ჰგავდნენ. რაზმი შეეცადა, არა დაეშავებინარა ამ გემებისათვის, და მაშინვე შესწყვიტა სროლა, როდესაც კი ნაღმოსნები მიეფარნენ. ინგლისის მწერლობა იმითია აღშფოთებული, რომ ესკადრის ნაღმოსანი, რომელიც რაზმმა დილამდე დასტოვა ბრძოლის ადგილზე, არ მიეშველა დაღუპულებსა, მაგრამ რაზმთან არც ერთი ნაღმოსანი არ ყოფილა და არც არავინ დაუტოვებია იმ ადგილზე. მაშასადამე, დილამდე დარჩა ერთ იმ ნაღმოსანთაგანნი, რომელიც ვერ დავღუპეთ, მხოლოდ დავაზიანეთ კი. რაზმმა არ უშველა სათევზაო გემებს, რადგანაც იმათ გულით უნდოდათ გაერღვიათ გემთა რაზმი. ზოგს სულ არ უსროლია, ზოგი კი ძალიან გვიან შეუდგა სროლასა». 2) ესკადრა, როცა ხვდებოდა დიდძალ მეთევზეებსა, ყურადღებით ეპყრობოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეთევზენი ნაღმოსნებთან იყვნენ, რომელთაგანაც ერთი სადღაც გაჰქრა, მეორე კი, მეთევზეთა ჩვენებით, დილამდე დარჩა. იმათ ეს რუსის ნაღმოსნად მოეჩვენათ და საყვედური სთქვეს, შემწეობა არ მოგვცაო. თუ მეთევზეებს მოუვიდათ ვნება, რაც უცაბედად მოხდა, მთელის ესკადრის პირით ითხოვს მწუხარება გამოუცხადოს დაღუპულთა.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბძანებია, კერძო ფლოტის გემები «სმოლენსკი» და «პეტერბურგი» ჩაირიცხონ ფლოტის სიაში კრეისერებად და პირველს დაერქვას სახელად «რიონი», ხოლო მეორეს «დნეპრი».

**ლონდონი.** «გლობი» ამბობს, პორტსმურტში სამხედრო მზადებააო. ბრძანებაა მიღებული შეაიარაღონ გემები. დამზადებულს კრეისერებს მისწერეს, მზად იყვნენ ამ მოკლე ხანში ზღვაში გასასვლელად.—ლიბერალთა დასისა და მუშათა წინამძღოლთა სიტყვებში გამოცხადებულია, როგორც «დეილი ტელეგრაფი» ამბობს, რომ მთელი ინგლისი ერთის აზრით არის განმსჭვალულიო. ამისთანა ერთსულობა აზრისა არ ყოფილა ინგლისის სამეფოში ნაპოლეონთან ომებს შემდეგ. ყველა მიმართულების გაზეთები ერთს აზრს დაადგნენ, ითხოვენ ერთხმად, რომ ინგლისი ნუ დააყოვნებს, არამედ

---

დიდი ხანია, გაეთავებინათ. პურსა და ხორცს ვინა კითხულობდა, ოღონდ შესაჭმელი ეშოვნათ რამე, თუნდა გამხმარი ხის ფესვები, და ღმერთს მხურვალე მადლობას შესწირავდნენ.

ბალღების საცოდაობა უფრო სწვავდა დიდებს. იმათი ტირილი შიმშილისაგან, ძახილი და ჟრიამული არამც თუ მშობლებს, თვით ვულ-ქვასაც-კი აატირებდა.

მაგრამ ვინ იყო ციხეში ისეთი, რომ ის მდგომარეობა არ ეგრძნო სრულის თავის ძლიერებით და საცოდაობით.

ხალხი ჩამომხმარიყო უჭმელობისაგან. დასუსტებული და ღონე-მიხდილი მეომარი ძლივს-ღა იდგა ფეხზედ, უხალისოთ და მძიმედ აძლევდა პასუხს მტრის შემოტევას.

ლეკებმაც შეატყეს დასუსტება და ალყა ნელ-ნელა ციხის კედელთან ახლო მისწიეს.

მეციხოვნეთა ერთად-ერთი ნუგეში წყარო-ღა იყო, იმით იბრუნებდნენ სულს.

ვერაგმა მტერმა ახლო-მახლო ტყეში ხეტიალის დროს როგორღაც აღმოაჩინა ისიც. გაიგეს, რომ ციხეში მიჩუხჩუხებდა და ქართველებს იოკებდა. მაშინვე წყაროს სხვა გზა მისცეს იქვე ფერდობში.

ციხე დარჩა უწყლოდ. რაც შიმშილმა დააკლო, ის წყურვილმა შეუსრულა.

ისე შეწუხდა ხალხი, რომ აღწერა შეუძლებელია. ენა ვერ გამოსთქვამს, გონება ვერ წარმოიდგენს იმ ჯოჯოხეთურს გეენიას, რაც მაშინ სამების ციხეში ტრიალებდა.

მუცელ-მიმწვარ ხალხს პირიც გაუხმა. უბედურება აუცილებელი იყო. ხსნა არსაიდან სჩანდა, არც მოსალოდნელი იყო. თავის ძალ-ღონეს უნდა დენდობოდნენ. ისიც ხომ შიმშილ-წყურვილმა წაართვა!

რა უნდა ექმნათ?

მოიყარეს თავი სოფლის მოწინავე კაცებმა. ითათბირეს, ასწონ-დასწონეს თავიანთი ყოფა-მდგომარეობა და ამ გზას დაადგნენ: სიკვდილი ყველასათვის აუცილებელი გამხდარა. თუ გინდა ციხეში შიმშილით გაწყდეტილან, თუნდა მტერს დაუხოცია ვაჟკაცურს ბრძოლაში. ისევ სჯობია, გაალონ კარი, გაცვივდნენ ყველანი, შეებრძოლონ მტერს. იქნება მათგანი ცოცხალი გადარჩეს ვინმე. ასე-კი— ციხეში გაწყდებიან სრულებით უსარგებლოდ. ვერც მტერს ავნებენ რასმე და ვერც არავინ თავს გადაირჩენს...

ასე დააწყეს.

მართლაც, ერთს ბნელს უმთვარო ღამეს, როდესაც მტერს არხეინად ეძინა, სამებელებმა გაალეს ციხის კარი და დუდა-ბუდიანად გავიდნენ გარეთ.

მტერმა იგრძნო ეს ამბავი. წამოვარდა და მიესია გამომავალთ.

სამებელებმაც შეუბრუნეს ხელი. გაიმართა იმ უკუმეთს ღამეში ხელჩართული ომი და საშინელი სისხლის ღვრა. ჩვენები თავიანთებს ქართულად შეძახებაზედ-ღა სცნობდნენ, სხვანაირად გარჩევა მტრისა და მოყვრისა შეუძლებელი იყო.

თუმცა მტერმა ძალიან შეამცირა სამებელთა რიცხვი, მაგრამ არც ჩვენებმა დააყარეს ხეირი თავზედ ხელ-აღებულავს ხალხს, მტაცებელ-მხეცებივით მოსეულებს.

იმ ბნელს ღამეში სამებელები ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით; გაიფანტნენ; დაიქსაქსნენ ოთხივ-კუთხივ, უმრავლესობა ამოწყვიტეს, უმცირესობა გადარჩა.

ის იყო და ის,—სამებაში საცხოვრებლად აღარავინ მისულა; გავერანდა, ამოვარდა სრულებით სოფელი «სამება», რომელმაც მართლა ტრაღიკულად გაათავა თავის სიცოცხლე.

—

იმ ჯოჯოხეთ ღამეს გადარჩენილა ცამეტი კაცი სამებელი. ამ ცამეტს კაცს, როგორც მოგვითხრობდა მოხუცი მოამბე, დაუარსებია «ძველი ხაშმი» ზედ ივრის პირზედ, უჯარმის გასწვრივ. რადგანაც სოფელი მალე გაზრდილა, ადგილი კი საკმარისი არა ყოფილა უვარგის მდებარეობისა გამო, ძველი ხაშმი დასცალეს და გადმოსახლდნენ უფრო ქვემოდ, ყარაბულაღთან, სართიჭალის ახლო,—ახალხაშმზედ.

როგორც მოხუცმა დაასახელა, რამდენიმე გვარეულობა სოფ. ხაშმისა სამებელთაგანი ეხლაც სცხოვრობს და ხალხ მრავალ გვარეულობათაც ითვლება.

დასკვნა. ჩემის აზრით, კაწარეთი შესცვალა სამებამ; გამოდევნილმა საბებულებმა დააარსეს ძველი ხაშმი, ხოლო იქიდან გადმოსახლდნენ ეხლანდელ ხაშმში.

დ. ნახუცრიშვილი.

მიიღოს ლონე, რათა მთელს განათლებულ ქვეყნიერების გულისათვის აიცილოს ხიფათი, რომელიც ყველას აუცილებლივ ექადის.—მინისტრთა საბჭო 15 ოკდომბრისათვის არის მოწვეული.

**ვიგო.** (ჰავასი). იმ დროს, როცა ამირბარი რაჟდესტვენსკი გამოდიოდა გუბერნატორის სახლიდან, ერთმა ბერიკაცმა ხელზე აკოცა. ამირბარმა შუბლი გადუკოცნა. ხალხმა ტაში დაჰკრა. ამირბარი ძაან ასიამოვნა ამ ამბავმა.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში შეიტანა კოშუტმა წინადადება, მინისტრ-პრეზიდენტმა მოიწვიოს გარეშე საქმეთა მინისტრი და მხარი მისცენ შეერთებულ შტატების წინადადებას, რომ რუს-იაპონიის ომი მოისპოს.

**ფიუმე.** აქ მყოფმა ინგლისის ესკადრამ ბრძანება მიიღო შეუერთდეს ინგლისის ესკადრას, რომელიც პოლის ახლო სდგას, წავიდეს დასავლეთად და შეუერთდეს ჰიბრალტართან ხმელთა შუა ზღვის ესკადრას.

**ლონდონი,** 13 ოკდ. მიწად-მოქმედების მინისტრმა სთქვა ელაზგოში: დიდმა ბრიტანიამ უნდა მიიღოს სრული კმაყოფილება და საკმაო გარანტია, რომ აღარ განმეორდება ასეთი ინციდენტი. ვგონებ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სასურველს პასუხს მივიღებთ რუსეთის მთავრობისაგან. გვგონია, რომ არასგზით მეტის მოთხოვნა არ დაგვჭირდება და ჩვენი მეგობრული ურთიერთობა რუსეთისადმი სრულიადაც არ შეირყევა.

**ხარბინი,** 15 ოკდ. (საკუთ. კორეს.) ამ უკანასკნელ დღეებში ხშირად იმართება სროლა თოფისა მოწინავეთა შორის. დიდი ბრძოლა არა ყოფილა. იაპონელნი ყველგან თხრილებს იღებენ. სჩანს, მტერი არ ფიქრობს სატევ ბრძოლის დაწყებას, არამედ ფიქრობს უცადოს ჩვენს შეტევას. თელინში საყასბო გაიმართა. იქ, მზადდება სალაშქრო ხორცი დოქტორ ვლასევიჩის წესით. მუკდენში საწყობია გამართული ამ ხორცისა და იქიდან ეგზავნება ჯარს. საქმის მოსაწყობად თვით ვლასევიჩია მოწოდებული. ლაშქრად მყოფი აფიცრები, რომელთაც ეს ხორცი უხმარიათ საჭმლად, ძალიან აქებენ.

**ვიგო,** 14 ოკდ. მთავრობამ ნება დართო ოთხას-ოთხასი ტონნი ქვა-ნახშირი მიეცეს რუსთა თითოეულს გემსაო.

**მუკდენი,** 14 ოკდ. (საკ. კორ.). დღეს და გუშინ იშვიათი სროლა იყო ზარბაზნებისა ჩვენს მარჯვენა ფრთედისაკენ. კარგი ამინდებია. სიცივე მოლო.

**ხარბინი,** 14 ოკდ. (საკ. კორ.). პუტილოვის გორაზე ჩვენმა ჯარებმა დაჰმარხეს 1500 იაპონელი და სამხედრო წესისაებრ პატივი სცეს. ბევრია კიდევ მკვდარი დასამარხი. ჩვენი ზარალი ამ გორაზედ ბრძოლის დროს იყო 93 აფიცერი და 2300 ჯარის კაცი, დაჭრილი და დახოცილი.

**ვიგო.** (რეიტერი). რუსთა ესკადრის ერთი ნაწილი გაემართა დღეს შორეულ-აღმოსავლეთისაკენ. ამირბარმა როჟდენსტვენსკიმ განაცხადა, რომ უმეტესი ნაწილი ესკადრისა ტანჟერისაკენ წავაო.

**ტანჟერი,** 14 ოკდ. (რეიტ.). რუსთა ესკადრა მოვა აქ ქვა-ნახშირით დასატვირთად. საფრანგეთის ორმა კრეისერმა ბრძანება მიიღო პორტში დარჩნენ.

**პეტერბურგი.** გენ. ლეიტ. სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 15 ოკდომბრის თარიღით: «13 ოკდომბერს ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მოახდინა დაზვერა ხეკეუთაის გზისაკენ. დივიზიონმა, რომელსაც უფროსობდა თავ. თუმანიშვილი, აიძულა მტერი გამწკრივებულიყო სათმრად სოფ. ხაილატოზასთან, მდ. ხუნხეს მარჯვენა ნაპირას, სოფ. ხეკეუთაის პირდაპირ. ერთმა რაზმმა, რომელშიაც 1500 ქვეითა ჯარის კაცი იყო 4 ზარბაზნითა და ორის ესკადრონით და ესაულ იაგოდინის ასეულმა, მეორე ასეულის ერთი რთის დახმარებით, იერიში მიიტანა მტრის ქვეითა ჯარზედ, რომელიც სოფ. ხაიდატოზუსაკენ გაიქცა. ჩვენ მოგვიკლეს 3 ჯარის კაცი და დაგვიჭრეს 2. 13 ოკდომბერს ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთაზედ რამდენმამე მზვერავთა რაზმმა, გენერალურ შტაბის პოდპოლკოვნიკის გისსერის საერთო ხელმძღვანელობით, დაზვერა ადგილები. საათ-ნახევრის განმავლობაში ზარბაზნებისა და მსწრაფ-მსროლელ ბატარეის მომზადების შემდეგ, ეს მზვერავთა რაზმები 11 საათზედ გაემართნენ სოფ. ჩაპლანპუსა და უსახელოსაკენ, ჩრდილოეთად. ეს სოფელი ბრძოლით აიღო ჩვენმა მზვერავმა და მტერმა კი უკან დაიწია. ჩვენ დაგვიჭრეს კაპიტანი ნადეჟდინი და პოდპორუჩიკი ლებეზნინი. ამ სოფლის დაზვერვის დროს 9 ოკდომბ. შტაბს-კაპიტანი ვორონცევი შეიჭრა მტრის შუაგულში და ხმლით მოჰკლა ორი იაპონელი დარაჯი. ჩვენს ჩასაფრებულებს 13 ოკდომბერს, გათენებისას, თავს დაეცა იაპონელთა ერთი ჯგუფი, რომეთაგანაც ორი მოვკალით და ხუთიც დავჭერით. ეს ჯგუფი სათადარიგო ჯარის კაცნი იყვნენ. 12 ოკდომბერს ჩვენმა მზვერავებმა იაპონელთა ბანაკში დიდი ალიაქოთი ასტეხეს, შუიხალინის უღელტეხილთან. იქვე აუშვეს ჰაეროსტატი და როდესაც რამდენჯერმე ესროლეს ჩვენმა მზვერავებმა, მერე დაუშვეს. 14 ოკდომბერს, დილის 7 საათიდან ბინდამდე, მტრის ორმა ბატარეამ სროლა აგვიტეხა სამლოცველოდან იანსინტუნიდგან 2 ვერ. მანძილზედ. იანსანტუნი ჩვენს ხელთ არის და იქიდგან თვალყურს ვადევნებთ ადგილ-მდებარეობას. ნაშუადღევის 4 საათზედ იაპონელებმა იერიში მიიტანეს ჩვენს გორაკზედ. ჩვენმა როტებმაც ძლიერი პასუხი გასცეს მტერს და უკან დაიხიეს, თან გზაში უკან-უკან პოზიციებს იჭერდნენ, უმთავრეს პოზიციაზედ. როდესაც ჩვენი როტები წავიდნენ, ჩვენმა არტილერიამ უმთავრეს პოზიციებიდგან სროლა აუტეხა იაპონელებს სამლოცველოებისაკენ, გორაკებზედ, და აიძულა ამ გორაკების დაცლა“.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. ბ. თოფურიას**

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო შ ი,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

## კ ა ბ ე ბ ს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს, მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზე მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

**მისამართი:** ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(4—344—4).

---

## „ცოდნა“-ს

### წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ისყიდება:

| | |
|---|---|
| დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსებით | 60 კ. |
| რაჲა სოსიკო მერკვილაძისა | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული | 50 კ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა | 3— ,, |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბზში აჩუკი აკაკისა | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქროუა (ხალხური ზღაპარი) | 5 კ. |
| სამი ზღაპარი | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი | 1—50 კ. |
| » » » პატარა » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— ,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით | 3— ,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ. | „—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1—50 კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია | 2— ,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—50 კ. |
| დავით გურამიშვილი | 1— ,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. | ,,—40 კ. |

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

## ა ლ ი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

---




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

## „ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბეჭერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—15)

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა. ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

## სააგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

---



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**Б. М. МИРИМАНІАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—18)

---

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. | 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

# კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

**და რეზინის სხვა საქონლისათვის**

## უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს

## რუსეთ-ამერიკის

**რეზინის მანუფაქტურისას**

**ს.-პეტერბურგში,**

დაარსებულს **1860** წელს.




**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნიეშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.

(60—60).